



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება
ჩაისუბნის საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: რუსუდან შავაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ნათია მაღაზონია

კვების დარგში ექსპერტი: გულთამაშე ხოროიშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ჯულია მამალაძე

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია



1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	446951790
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	ჩაისუბნის საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	საქართველო, ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N99ა
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩაისუბანი



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)		
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 25 0000675384 16.06.2025	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	14-15 ივლისი 2025 წელი	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ					
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული “ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი” -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	*ადრეული განათლების კურიკულუმი,,თამაში,,2- დან 5 წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისათვის პირველი და მეორე ნაწილი.ავტორები:ხათუნა დოლიძე,თამარ ბარბაქაძე,ნინო ჯიჯავაძე.საქართველოს განათლები, მეცნიერების,კულტურისა დასპორტის სამინისტრო.2020 წელი. * სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში,,პირველი და მეორე ნაწილი.თამაში - სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო.ავტორე ბი: სტეფენ საიფერი,იაგორ ბალანჩივაძე,თამარ ბაქრაძე,თამარ გაბისონია,ნინო ლაბარტყავა,ნინო ფრუიძე, თამარ ლორია.საქართველოს განათლები, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2015 წელი	ქართული		90 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒ „ექსპერტთა მიერ რეკომენდებული რაოდენობა არის 69“
---	---	---	---------	--	--



7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 14-15 ივლისს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის ბაგა-ბაღში. დაწესებულებას წინასწარ ჰქონდა მიწოდებული ვიზიტის დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გამოცხადდა დროულად. ვიზიტი წარიმართა დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად, თანამშრომლობით, გახსნილ და კეთილგანწყობილ სამუშაო გარემოში.

შეფასების პროცესის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ გარკვეული კომპონენტების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ დაემთხვა დაწესებულების თვითშეფასებას. კერძოდ, შეუსაბამობები დაფიქსირდა შემდეგ კომპონენტებთან მიმართებაში:

- ბავშვთა მინიმალური (ზღვრული) რაოდენობა,
- სტანდარტი 1.2 - სტრატეგიული განვითარება,
- სტანდარტი 4.1 - პერსონალის მართვა და განვითარება,
- სტანდარტი 4.2 - პროცესების მართვა,
- სტანდარტი 4.3 - მატერიალური რესურსი,
- სტანდარტი 4.4 - კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი,
- სტანდარტი 4.5 - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები,
- სტანდარტი 4.6 - ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება,
- სტანდარტი 4.7-ფინანსური რესურსი.

აღნიშნული კომპონენტების ნაწილზე დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ასახავს სტანდარტების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაზე მიღწევის მოლოდინსა და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვას. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გეგმები განიხილა დოკუმენტურად და ადგილზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

.....

.....

.....

.....

.....

.....



8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ჩაისუბნის საბავშვო ბაღის პერსონალს აქვს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება საერთაშორისო კონფერენციაზე „ადრეული განათლება და ზრუნვა“ თემაზე: სოციალურ - ემოციური კომპეტენციის განვითარება ბავშვებში.

დაწესებულების პერსონალს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საერთაშორისო კონფერენციაში „ადრეული განათლება და ზრუნვა“, სადაც წარადგინეს საკუთარი გამოცდილება ბავშვებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების მიმართულებით, რაც საუკეთესო პრაქტიკის კარგ მაგალითად შეფასდა.

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დანესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დანესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დანესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² (პროგრამის სახე) სკოლანდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა კურიკულუმის დასახელება: აღრეული განათლების კურიკულუმი, „თამაში“, 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისათვის პირველი და მეორე ნაწილი. ავტორები: ხათუნა დოლიძე, თამარ ბარბაქაძე, ნინო ჯიჯავაძე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2020 წელი. * სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, პირველი და მეორე ნაწილი. თამაში - სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. ავტორები: სტეფენ საიფერი, იაგორ ბალანჩივაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გაბისონია, ნინო ლაბარტყავა, ნინო ფრუიძე, თამარ ლორია. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2015 წელი. აღრეული განათლების კურიკულუმი, „თამაში“, 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისათვის პირველი და მეორე ნაწილი. ავტორები: ხათუნა დოლიძე, თამარ ბარბაქაძე, ნინო ჯიჯავაძე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2020 წელი. * სასკოლო მზაობის		

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



პროგრამა „თამაში, პირველი და მეორე ნაწილი. თამაში - სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. ავტორები: სტეფენ საიფერი, იაგორ ბალანჩივაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გაბისონია, ნინო ლაბარტყავა, ნინო ფრუიძე, თამარ ლორია. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2015 წელი		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება



- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა**
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება**
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება**
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა**
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება**
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება**
- 4.2. პროცესების მართვა**
- 4.3. მატერიალური რესურსი**
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი**
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები**
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება**
- 4.7. ფინანსური რესურსი**

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს მისია, ხედვა, ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი დანართი N1 სახით. მისია ჟღერს შემდეგნაირად: საბავშვო ბალების გაერთიანების მისიაა ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და ხარისხიანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესების განხორციელებას, სადაც დაცული იქნება თითოეული ბავშვის უფლებები, ინტერესები და საჭიროებები.

დაწესებულების მისია შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან, ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და მიზნად ისახავს შექმნას ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი დანართი N1 სახით. ხედვა შემდეგნაირად ჟღერს: ჩვენს საბავშვო ბალებში ხარისხიანად დაინერგება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ქობულეთის მუნიციპალიტეტში იქნება საბავშვო ბალები, სადაც იმუშავებენ მაღალი კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პერსონალი და უზრუნველყოფილი იქნება ხარისხიანი ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა;

დაწესებულების ხედვა მკაფიოდ ასახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესზე ორიენტირებულობას, უსაფრთხო და თანასწორ გარემოს, სოციალურ და კოგნიტურ განვითარების ხელშეწყობას ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით მიდის დაწესებულება, თუმცა არ ჩანს დროის პერიოდი, თუ რა დროში აპირებს დაწესებულება ხედვაში გაწერილ სასურველ მდგომარეობის მიღწევას.



დანესებულების ღირებულებებია - ბავშვზე ორიენტირებულობა , თანასწორობა და ინკლუზია, პასუხისმგებლობა, პარტნიორობა – აღსაზრდელთა მშობლებთან, საბავშვო ბაღების პერსონალთან, მუნიციპალიტეტებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან. განვითარება და ინოვაცია – ვნერგავთ თანამედროვე მიდგომებს და ხელს ვუწყობთ ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებას.

წარმოდგენილი ღირებულებები შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია ხედვა ფორმულირდეს როგორც დანესებულების სასურველი მისაღწევი მდგომარეობა დროის კონკრეტულ პერიოდში და მოიცავდეს გაზომვად ნიშნულებს.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 07 მაისის #ბ32.11425127001 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად, დანესებულებამ უზრუნველყო მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.



შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გაერთიანების ადმინისტრაციის, ბაღების ხელმძღვანელი პირები, ქობულეთის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის წარმომადგენელი და მშობელი. აღნიშნული დადასტურებულია ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 მარტის №32.11425079001 ბრძანებით — „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“(დანართი №19). სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი მტკიცებულება წარმოდგენილია დანართი №20, ოქმი N2.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია და გაზიარებულია ბაღის ოფიციალურ **Facebook** გვერდზე (<https://www.facebook.com/chaisubnis.sabavshvo.baghi>), რომელიც დაწესებულებას მტკიცებულებად ატვირთული აქვს დანართი N 21 სახით, საინფორმაციო ჩათებში, გარდა ამისა, ისინი გამოკრულია ბაღის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე.

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების დამადასტურებელი ფოტომასალა წარმოდგენილია დანართში N21.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.დანართი N1 - მისის ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი.
2. დანართი N 19 - სტრატეგიულ გეგმაზე სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება Nბ32.11425 079001 20.03.2025წ.
3. დანართი N 20 - შესვედრის ოქმი N 2
4. დანართი N 21 - მისის ხედვისა და ღირებულებების შემუშავების,გაზიარების დამადასტურებელი ფოტო მასალა.
5. დანართი N21 - **Facebook** გვერდი

შეფასება:

1.1. დაწესებულების მისია

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---



1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს წარმოდგენილია ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 19 მარტის N ბ32 114250785 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ . დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებზე პასუხისმგებელი პირები; პროცესში ჩართული მხარეები; სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესის საკვანძო პრინციპები; დოკუმენტის გაზიარება; პროცესის წამმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი; მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების წესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, გაზიარებისა და დამტკიცების პროცესი; სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმის შემუშავება; მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება; სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება; სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი; სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლის ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 7 მაისს №32 11425127001 ბრძანებით, უფლებამოსილი პირის მიერ.

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ხუთწლიანი და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. სტრატეგიული გეგმის ციკლურობა დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ჩანაწერებით, შემუშავების პროცესის, პერიოდულობის, მონიტორინგისა თუ შეფასების მექანიზმის განსაზღვრით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....



3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, უფლებამოსილი პირის მიერ, ბრძანებით დაამტკიცებული 2025 წლის (14.05.2025წ. N ბ32. 11425134001) სამოქმედო გეგმა. დადგენილი სამოქმედო გეგმა მკაფიოდ ეფუძნება სტრატეგიულ განვითარების გეგმას და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ დოკუმენტს. იგი ასახავს სტრატეგიული მიზნების ოპერაციულ დეტალიზაციას, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის განხორციელების თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას.

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ 2025 წლის 19 მარტს (ბრძანება № ბ32.114250785), მუხლი №10 — სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას: დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ყოველ 6 თვეში ერთხელ, რომელიც მიზნად ისახავს ზუსტი საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მიზნების/ამოცანების კორექტირებას. მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ სამოქმედო გეგმა იყოს მოქნილი და რეაგირებდეს გამოვლენილ საჭიროებებზე. დაწესებულება ასევე ახორციელებს ყოველწლიურ თვითშეფასებას, რომლის შედეგები (გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები, რეკომენდაციები) გამოიყენება სამოქმედო გეგმის შესწორებისა და ახალი აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დანესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებს. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. გაწერილი აქტივობების შესრულების ნაწილში, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია, როგორც ინდიკატორების გრაფა, ასევე შესრულების მოკლე აღწერის გრაფა, რომელიც აღწერს თითოეულ აქტივობას რაოდენობრივ ან/და ხარისხობრივ ჭრილში. აქტივობებზე გაწერილი არ არის ვადები, სამოქმედო გეგმის აქტივობებისთვის მითითებულია მხოლოდ წლის აღნიშვნა, რაც არ იძლევა საკმარისად ზუსტ მითითებას იმაზე, თუ როდის იწყება და სრულდება კონკრეტული აქტივობა წლის განმავლობაში. როდესაც სამოქმედო გეგმის აქტივობებს არ ახლავს დეტალური ვადები, ეს ართულებს როგორც პროგრესის მონიტორინგს, ისე პერსონალისთვის პრიორიტეტების განსაზღვრას. მხოლოდ წლიური აღნიშვნა ვერ უზრუნველყოფს აქტივობების დროულად განხორციელებასა და მათი შესრულების ტემპის შეფასებას. თითოეულ აქტივობას ჰყავს პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

დანესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში ვადების დაკონკრეტება, რათა თითოეული აქტივობის განხორციელების ეტაპობრივად მონიტორინგი და პროცესის დროული მართვა გახდეს შესაძლებელი.



რჩევა

- ▣ სასურველია, რომ თითოეული აქტივობა იყოს დაგეგმილი ისე, რომ მისი განხორციელების შედეგად დადგეს ხილული და დროული შედეგი. მიზანშეწონილია, აქტივობებთან ერთად განსაზღვრული იყოს მკაფიო რაოდენობრივი და/ან ხარისხობრივი ინდიკატორები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და შეფასება გახდეს უფრო ობიექტური.
- ▣ სასურველია, რომ აქტივობების ვადების განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს რისკების არსებობის შესაძლებლობა (მაგალითად: ინფრასტრუქტურული შეფერხება, კადრების სიმცირე, კლიმატური პირობები და სხვა) და საჭიროების შემთხვევაში გამოყოს საშუალოზე მეტი დრო კონკრეტული ღონისძიების რეალურად დასაგეგმად და შესასრულებლად.
- ▣ სასურველია, რომ თითოეული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები უფრო დეტალურად და რეალისტურად იყოს განერილი, რაც უზრუნველყოფს გეგმის შესრულებადობას და შეამცირებს იმის რისკს, რომ ღონისძიებები არ დარჩეს მხოლოდ ფორმალურად განსაზღვრული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას და უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით. გეგმა მოიცავს ერთ თვიან პერიოდში განხორციელებად კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ინდიკატორის მიხედვით გამოვლენილი ხარვეზების ეტაპობრივად არმოფხვრისკენ. წარმოდგენილი გეგმა იძლევა საფუძველს, რომ შეუსაბამობა სრულად იქნება აღმოფხვრილი. აქედან გამომდინარე ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 19 მარტის №32 11425078 ბრძანებით „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ: შუალედურ პერიოდში 2 წლის და 5



ბოლოს. გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული განვითარების 2025-2030 წლის გეგმა დამტკიცდა 2025 წლის 7 მაისს N ბ32 11425127001 ბრძანებით, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ან/და შეფასება არ განხორციელებულა, ვინაიდან აღნიშნული პერიოდი ჯერ არ დამდგარა. ამავე წესის (მუხლი 13, მე-4 პუნქტი) მიხედვით, დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს 6 თვეში ერთხელ, ხოლო შეფასებას წლიურად. ამავე წესში განწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სამოქმედო გეგმა დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 2025 წლის 14 მაისს №ბ32 11425134001 ბრძანებით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ჯერ არ დამდგარა

შემოთაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და მტკიცებულებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ 2025 წლის 7 მაისს ბრძანებით Nბ32 11425127001 დამტკიცდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, ხოლო 2025 წლის 14 მაისს №ბ32 11425134001 ბრძანებით



სამოქმედო გეგმა. შესაბამისად სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი ჯერ არ დასრულებულა.

„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ თანახმად, რომელიც დამტკიცებული ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 19 მარტი. №32 114250785 ბრძანებით, დაწესებულება საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს აფორმებს ნარატიული სახით და ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების (გაერთიანების სოც. ქსელი; ელექტრონული ფოსტა) მეშვეობით ახორციელებს მათ განთავსებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N2. დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დირექტორის ბრძანება №32.11425078519/03/2025წ. 2 დანართი N3 დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა N ბ32.11425127001 07/05/2025წ.
3. დანართი N22 შეხვედრის ოქმი N1
4. დანართი N23 შეხვედრის ოქმი N3
5. დანართი N24 შეხვედრის ოქმი N4



6. დანართი N25 სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის ფოტო მასალა.
7. ინტერვიუ და შენობის ადგილზე დათვალიერება.

შეფასება:

1.2. სტრატეგიული განვითარება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

2. კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა;

კურიკულუმის დასახელება

1. „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ - I და II ნაწილი ; 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ავტორები: ხათუნა დოლიძე, თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 2020 წელი.
2. „სასკოლო მზაობის პროგრამა“ – “თამაში” - I და II ნაწილი. ავტორები: თამარ ბაქრაძე, ოლღა მუსხელიშვილი, ეთერ ღვინერია, თამარ გაბისონია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი. 2016 წელი.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა



1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის ამსახველი დოკუმენტი — ბრძანება № ბ32.11425049001, თარიღი: 18/02/2025 — „ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას მიზნის მიღწევისთვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 31 იანვრის № ბ32.114250313 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

1. „ადრეული განათლების კურიკულუმი — თამაში“, ნაწილი I — მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის;
2. „სასკოლო მზაობის პროგრამა — თამაში“.

- დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები/მასალები: სამუშაო ჯგუფის შექმნის, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველი დოკუმენტები. წარმოდგენილია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის ბრძანება № ბ32.114250292 (29/01/2025).

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ხელმოწერილი ოქმები და ფოტომასალები. სამუშაო ჯგუფთან გამართულ ინტერვიუზე, ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს კურიკულუმების შერჩევისა და დამტკიცების პროცედურებზე.

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ ორივე კურიკულუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს დაწესებულება, წინასწარ არის შერჩეული, რაც დასტურდება ბრძანებით — „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ ბრძანება № ბ32.11425029001, თარიღი: 29/01/2025.

- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

• დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას.
დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი — ბრძანება № ბ32.114250313, თარიღი: 31/01/2025, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ.

• შერჩეული კურიკულუმები ორიენტირებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე.
კურიკულუმში გათვალისწინებული სტრატეგიები და აქტივობები ხელს უწყობს ბავშვის განვითარების ხუთ ძირითად სფეროში (1. ფიზიკური და სენსორული განვითარება, 2. სოციალურ-ემოციური განვითარება, 3. კომუნიკაციური უნარები, 4. ენისა და მეტყველების განვითარება, 5. შემეცნებითი განვითარება, 6. დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება) და სამ მიმართულებაში (1. ხელოვნება, 2. წიგნიერება, 3. მეცნიერება) განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

კურიკულუმის მიზნები ხელს უწყობს ბავშვებში აღნიშნული სფეროებისა და მიმართულებების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარებას.

- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

- კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, რაც თავის მხრივ აისახება როგორც კურიკულუმის სახელწოდებაში, ასევე მის შინაარსსა და ღირებულებებში.

კურიკულუმის განხორციელების მთავარი სტრატეგია **თამაშია**, და სწორედ თამაშზეა დაფუძნებული დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი.

კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ:

- ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს, და
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი).

- კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ნათლად ჩანს როგორც კურიკულუმის შინაარსში, ასევე მის ღირებულებებში.

ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, კურიკულუმი განიხილავს ბავშვს სწავლების ცენტრალურ ფიგურად, სადაც უფროსი მიჰყვება ბავშვის ინტერესს, უწყობს ხელს მის ბუნებრივ სწავლისა და განვითარების პროცესს და არ უკარნახებს, რა უნდა გააკეთოს.

ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვის ცნობისმოყვარეობის, ინტერესის, არჩევანის, მოტივაციისა და სწავლის შინაგანი სურვილის განვითარებას.

- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

- დანესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობასა და მათ აქტიურ ჩართულობას. კურიკულუმი ხელს უწყობს დანესებულების პერსონალსა და ოჯახებს შორის მჭიდრო, პოზიტიურ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას. კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე აღსაზრდელთა ოჯახები (მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები) აქტიურად არიან ჩართულები კურიკულუმით განსაზღვრულ აქტივობებსა და თამაშებში.



• კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას, რაც გამოიხატება სხვადასხვა ადგილობრივი დაწესებულების მონაწილეობით საბავშვო ბაღის ცხოვრებაში.
ამ თანამშრომლობის მიზანია საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვა და აღსაზრდელთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა.

• აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

დანესებულებას შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები:

1. „ადრეული განათლების კურიკულუმი — თამაში“ (2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის);
2. „სასკოლო მზაობის პროგრამა — თამაში“.

- კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ნათლად ვლინდება მათი შინაარსისა და ღირებულებების აღწერაში.

კურიკულუმის მიზნების შესაბამისად, ბავშვებისთვის ხელოვნების, წიგნიერებისა და მეცნიერების მიმართულებით მრავალფეროვანი თამაშებისა და აქტივობების შეთავაზება უზრუნველყოფს მათ მრავალმხრივ განვითარებას.

- კურიკულუმები ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც მკაფიოდ აისახება კურიკულუმის შინაარსში.

მეთოდურ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, ასაკისა და განვითარების თავისებურებებზე მორგებული აქტივობები, რომელთა მიზანია აღსაზრდელთა ფიზიკური, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობა.

კურიკულუმი მოიცავს როგორც ზოგად პრინციპებს, ისე კონკრეტულ მითითებებსა და რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და სასწავლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა.

- კურიკულუმები ასევე ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას, რაც პირდაპირ აისახება როგორც კურიკულუმის მიდგომებსა და სტრატეგიებში („ადრეული განათლების კურიკულუმი — თამაში“), ასევე მის ღირებულებებში. კურიკულუმში ხაზგასმულია თემისა და ოჯახის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და ბავშვის ჰოლისტური განვითარების უზრუნველსაყოფად.

- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

დაწესებულებას, „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის № ბ32.11425029001 ბრძანებით, განსაზღვრული აქვს კურიკულუმების შესახებ ინფორმაციის გაზიარება როგორც დაწესებულების პერსონალთან, ისე მშობლებთან/კანონიერი წარმომადგენლებთან.

„კურიკულუმის შერჩევის გაზიარების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესში, მუხლი N3 თანახმად, დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს;

1. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:

ა) მშობლები;

ბ) დაწესებულების პერსონალი;

გ) თემი/მუნიციპალიტეტი;-ირგვლივ არსებული დაწესებულებები და ორგანიზაციები.

2. დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

• კურიკულუმები გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით — შესწავლების ოქმებით, პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებითა და ფოტომასალებით.

• დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი № ბ32.114251143, თარიღი: 24/04/2025 — ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის მშობელთა კრების ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ ბრძანება.



- დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ბრძანება № ბ32.114251145, თარიღი: 24/04/2025 — ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის თანამშრომელთა კრების ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ.

ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალის საერთო შეხვედრაზე მოხდა კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და თანამშრომელთა ჩართულობა კურიკულუმის შინაარსისა და მიზნების გაცნობაში.

- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა ბრძანება **N ბ32.114250292 29/01/2025წ;**
2. კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია ოქმი,ფოტომასალა;;
3. კურიკულუმის შერჩევის,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი ბრძანება **N ბ32.11425029001 29/01/2025წ;**
4. დეკლარირებული კურიკულუმი/ჩარჩო ბრძანება **N ბ32.11425049001 18/02/2025წ;**
5. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის თანამშრომელთა კრების ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ;



6. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის მშობელთა კრების ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ ბრძანება: **ბ32. 114251143 თარიღი:24/04/2025;**
6. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ ბრძანება: **ბ32. 114251147 თარიღი:24/04/2025.**

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: წარმოდგენილია ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის გრძელვადიანი (ერთწლიანი) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმის ფორმების დამტკიცების შესახებ ბრძანება № ბ32.114250317, თარიღი: 31/01/2025.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი გეგმები, რაც დადასტურებულია აღნიშნული ბრძანებით:

- გრძელვადიანი გეგმის ფორმა — თანახმად დანართი №1-ისა;



- მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმის ფორმა 2-დან 5 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის — თანახმად დანართი №2-ისა;
- მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმის ფორმა სკოლამდელი მზაობის ჯგუფისთვის — თანახმად დანართი №3-ისა.
- აღნიშნული შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ, რაც ვლინდება დამტკიცებულ ბრძანებაში, მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუთი ვლინდება, რომ საგანმანათლებლო პერსონალი ინფორმირებულია დამტკიცებული წესის შესახებ და იცის დამტკიცებული გეგმების დანართების შინაარსი. საგანმანათლებლო პერსონალმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ იცნობს გეგმის ფორმატის კომპონენტებს.
- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ახორციელებს კურიკულუმების შესაბამისი გეგმების (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შემუშავებას, რის დასტურადაც წარმოდგენილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ დოკუმენტი — ბრძანება № ბ32.114250317, თარიღი: 31/01/2025, დამტკიცებული ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ.



- გეგმების შემუშავება არის თანამონაწილეობითი პროცესი, რაც დასტურდება როგორც დაწესებულების აღმზრდელებთან, აღმზრდელის თანაშემწეებთან და სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით, ისე საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმით, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების მიერ — ბრძანება № ბ32.114250314, თარიღი: 31/01/2025.
- დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი № ბ32.114251144, თარიღი: 24/04/2025 — ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ შემავალი საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალისთვის საკონტაქტო და არასაკონტაქტო მუშაობის განრიგის ფორმის დამტკიცების შესახებ.
- ასევე წარმოდგენილია დოკუმენტი № ბ32.114251147, თარიღი: 24/04/2025 — ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ.
- გეგმების შემუშავება ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რაც კვლავ დასტურდება დაწესებულების აღმზრდელებთან, აღმზრდელის თანაშემწეებთან და სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით.
- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დანესებულებამ წარმოადგინა ბრძანება № ბ32.114250314, თარიღი: 31/01/2025 – საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის მიერ.

აღნიშული წესის თანახმად, დანესებულებას გააჩნია დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ დანესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (ბრძანება № ბ32.114250314, თარიღი: 31/01/2025) განვლილ მოთხოვნებს და გამოთქვამს მზაობას აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს რაც დამტკიცებულია დანესებულების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (ბრძანება:ბ32. 114250314 თარიღი:31/01/2025) . ინტერვიუს მეშვეობით ვლინდება, რომ საგანმანათლებლო პერსონალს აქვს ინფორმაცია წესში განვლილი შინაარსის შესახებ; აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუთი ვლინდება, რომ პერსონალს განსაზღვრული აქვს უკუკავშირის მიღების ფორმები ეფექტური კომუნიკაციისთვის. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ თვალსაჩინო ადგილას ორგანიზებული აქვთ მშობელთა უკუკავშირისთვის ე.წ “ წინადადებების ყუთი”. ინტერვიუთი ვლინდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალს აქვს დაგეგმილი მშობლებისგან და თემისგან უკუკავშირის ფორმად გამოიყენოს პირისპირ შეხვედრები და სოც. გვერდი.

- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. “საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი” ,დამტკიცებულია ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორის **2025 წლის 31 იანვრის №32.114250314 ბრძანება;**
2. **ბრძანება:ბ32. 114251143 თარიღი:24/04/2025** ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის მშობელთა კრების ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ;



3. ბრძანება:ბ32. 114250782 თარიღი:19/03/2025 დაკვირვების ფორმის დამტკიცების შესახებ;
4. ბრძანება:ბ32. 114250783 თარიღი:19/03/2025 აღსაზრდელთა შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ;
5. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი - დამტკიცებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის **2025 წლის 28 აპრილის № ბ 32.114251184 ბრძანება;**
6. ბრძანება:ბ32. 114250317 თარიღი:31/01/2025 ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ;
7. პრეზენტაციები მშობელთა ცნობიერების ასამაღლებლად.

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).



4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის 21 მაისს №32 114251412 ბრძანების საფუძველზე, ასევე ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის 13 მაისის ბრძანება №32.114251332 ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორის 2024 წლის 05 აპრილის №32.114240962 ბრძანებაში - შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის 28.04.2025 წლის №32 11425118001 ბრძანების საფუძველზე და 2025 წლის 13 მაისის № 32 11425133001 ბრძანებით დამტკიცებულ თანამდებობების სამუშაო აღწერილობის საფუძველზე, სადაც მითითებულია პერსონალის რაოდენობა დასაქმების პოზიციებისა და ფუნქციების აღნიშვნით, უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დასაქმებული პერსონალია:

- 1) ხელმძღვანელი;
- 2) მეთოდისტი-1;
- 3) მწე -1;
- 4) მედდა -1;
- 5) აღმზრდელ-მასწავლებელი (ამღმრდელ-პედაგოგი) -7
- 6) აღმზრდელის თანაშემწე (ძიდა)-3
- 7) მუსიკის მასწავლებელი - 1



8) მზარეული-2

9) დამლაგებელი-1

10) დარაჯი- 1

11 ცეცხლფარეში (შტატგარეშე)-1

დაცულია აღმზრდელის/აღმზრდელ - პედაგოგოს თანაფარდობა ბავშვებთან. აღნიშნული პირები (ამღმრდელ- პედაგოგი) დანიშვნის ბრძანებებში განსაზღვრული არიან, როგორც აღმზრდელ-მასწავლებლის პოზიციების მფლობელები.

დამატებითი საჭიროების მქონე ბავშვისთვის ჰყავთ ლოგოპედი.

აღნიშნულიდან გამომდინარე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დანესებულებას, 2025 წლის 13 მაისის N ბ32 11425133001 ბრძანების საფუძველზე სამუშაო აღწერილობა მკაფიოდ აქვს განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული დასაქმებულთა ძირითადი მოვალეობები, რომელშიც მკაფიოდ არის გაშიჯნული სამუშაოს ტიპი, ანგარიშვალდებულება, ადგილმდებარეობა, სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენციები და სხვა. გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილია საკონსულტაციო საბჭო. დანესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (Nბ32. 11425118001. 28.04.2025წ.), რომელიც მოიცავს დანესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ორგანოგრამას და თანამდებობების სამუშაო აღწერილობებს. დოკუმენტი ხელმისაწვდომია პერსონალისთვის და ასახავს დანესებულების ფუნქციონირების ორგანიზებულობას.

- წარმოდგენილია დანესებულებაში არსებულ ყველა პოზიციაზე შედგენილი სამუშაო აღწერილობების კრებული, რომელიც ასახავს თითოეული თანამდებობის ფუნქციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობებს.
- პერსონალის მართვის დოკუმენტის შესაბამისი თავები (თავი II და VII);
- შინაგანაწესი (მუხლი 7);
- დირექტორის ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ორგანოგრამა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....



3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად (მუხლი 17. პერსონალის კვალიფიკაცია), პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი სამართლებრივი აქტებით („აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება) დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (კონკურსის წესით დასაქმების შემთხვევაში).

ადგილზე ინტერვიუს და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. ბაღს ჰყავს 7 აღმზრდელ-მასწავლებელი, იგივე აღმზრდელ-პედაგოგი და შესაბამისობაშია 478 -ე დადაგენილებასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს- შვიდივე აღმზრდელ/მასწავლებელს, მედდას და გაერთიანების ხელმძღვანელს აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

დანესებულებაში ვიზიტის დროს, შესაბამისი პერსონალის პირად საქმეში ინახებოდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები (დანართი N5).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.2. დანესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დანესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დანესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №32 11425118001 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი და ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 13.05.2025 წლის №32 114251332 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. ადგილზე ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ საბავშვო ბაღში დასაქმებულ პერსონალთან დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო დროის ფარგლებში განსაზღვრული პასუხისმგებლობები, დასვენების დღეები და სხვა.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს შრომის შინაგანაწესს და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს. გამომდინარე იქედან, რომ პერსონალის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია მიმდინარე წლის 24 აპრილს, კონკრეტული მტკიცებულებები პროცესის შესახებ შექმნილი არ არის, თუმცა ინტერვიუს დროს შენეჯერთან და გაერთიანების ხელმძღვანელებთან იკვეთებოდა დადგენილი წესის შესაბამისად პერსონალის მართვის მიდგომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....
.....
.....

რეკომენდაცი

დაწესებულებამ უზრუნველყოს საბავშვო ბაღში დასაქმებულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, სადაც მკაფიოდ იქნება მითითებული: ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო დროის ფარგლებში განსაზღვრული პასუხისმგებლობები, შრომის ანაზღაურება, შვებულების ხანგრძლივობა და სხვა.

.....
.....
.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დანესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას და უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით. გეგმა მოიცავს ექვს თვიან პერიოდში განხორციელებად კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ინდიკატორის მიხედვით გამოვლენილი ხარვეზების ეტაპობრივად არმოფხვრისკენ. წარმოდგენილი გეგმა იძლევა საფუძველს, რომ შეუსაბამობა სრულად იქნება აღმოფხვრილი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილად შეფასებით.

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აღმზრდელ პედაგოგთან/ აღმზრდელთან არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც უნდა მოიცავდეს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებს. ადგილზე ვიზიტის დროს დანესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა დღის განრიგი, რომელიც ითვალისწინებს საკონტაქტო და არა საკონტაქტო საათების გადანაწილებას.

დანესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც რელევანტურია არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია .

რეკომენდაცია

დანესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად აქტივობათა განხორციელება არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.



.....
რჩევა მიზანშეწონილია, დანესებულებამ პერსონალთან შრომითი ურთიერთობები დაარეგულიროს ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე, სადაც მკაფიოდ იქნება განწერილი საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები. ბაღმა სრულად განსაზღვროს არასაკონტაქტო საათების გამოყენების ფორმატები და გააძლიეროს მათი გამოყენება დაგეგმვის, დაკვირვების, პროფესიული განვითარების, მშობლებთან მუშაობის და სხვა მიზნებისთვის.

.....
.....
.....

.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები რეგულირდება ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №32.11425118001 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის წესს, რომელიც უზრუნველყოფს ვაკანსიის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით.

დოკუმენტის თავი III – „ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი“ არეგულირებს სწორედ ამ მიმართულებებს – პერსონალის შერჩევას, დანიშვნას და შესაბამისი კვალიფიკაციის დადგენის საკითხებს. მათ შორის, გათვალისწინებულია, რომ გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით, პირი შეიძლება დაინიშნოს ვაკანტურ პოზიციაზე პირდაპირი დანიშვნის გზით.

ასეთ შემთხვევაში, შერჩევა ხდება სამუშაო აღწერილობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე დაყრდნობით, ხოლო კანდიდატთან ტარდება გასაუბრება.



დამატებით, მუხლი 8 – „კადრების მოზიდვა და შერჩევა“ ხაზს უსვამს, რომ შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ობიექტური და გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შერჩევას.

ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ჩაისუბნის ბაგა-ბაღში აღნიშნული წესის ამოქმედების შემდეგ დასაქმებული მზარეული, შერჩეულ იქნა სწორედ ამ დოკუმენტით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით (პირი ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნა პირდაპირი დანიშვნის გზით. ვაკანტურ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი განაცხადი იყო გაკეთებული).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხებს არეგულირებს (ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №32 11425118001 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. ამავე წესის, **თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესის** მე-18 მუხლში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი, სადაც გაწერილია შემდეგი:



1. იმისათვის, რომ დაწესებულების მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე.
2. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:
 - ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
 - ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
 - გ) ტრენინგები /სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
 - დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;
 - ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
 - ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
 - ზ) მონიტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;
 - თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....



5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის კულტურა, რაც გამოხატულია როგორც დეკლარირებულ ღირებულებებსა და ხედვაში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში.

დაწესებულება გუნდურობას ასახელებს ერთ-ერთ ღირებულებად, ხოლო ხედვაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა როგორც ბავშვების, ისე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვას.

გუნდური მუშაობის მხარდაჭერა და წახალისება მკაფიოდ აისახება ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის/ადაპტაციის მექანიზმშიც, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ეტაპებსა და შრავალფეროვან აქტივობებს თანამშრომლის ორგანიზაციულ გარემოში ინტეგრაციის გასამარტივებლად.

ადგილზე ვიზიტისა და თანამშრომლებთან ინტერვიუს დროსაც აშკარად გამოიკვეთა თანამშრომელთა შორის გულწრფელი კოლეგიალობა, პროფესიული სოლიდარობა და ერთობლივი მუშაობის სურვილი. პრაქტიკის გაზიარებისას თანამშრომლები ხაზგასმით აღნიშნავენ ერთმანეთის წვლილს და შრომისმოყვარეობას, რაც კიდევ უფრო ამყარებს თანამშრომლობითი გარემოს არსებობის მტკიცებულებას.

გარდა ამისა, დაწესებულების შიდა დოკუმენტების – მათ შორის მარეგულირებელი წესების და პოლიტიკების – შემუშავების პროცესი კოლექტიურად, სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მიმდინარეობს, რაც კიდევ ერთი ნიშანია თანაბარი მონაწილეობისა და გუნდური თანამშრომლობის კულტურის არსებობისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოფს სისტემურ მიდგომას როგორც საქმიანობის შეფასებაში, ისე საჭიროებათა მოკვლევაში, რაც რეგულირდება გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანებით №32.11425118001 დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით.

თავი IV — „შესრულებული სამუშაოს მართვა“, მუხლი 19
მკაფიოდ განსაზღვრავს სისტემურ პროცესს, რომელიც მოიცავს:

- შეფასებას პერსონალის საქმიანობის მრავალმხრივი ასპექტების მიხედვით:
 1. დაკისრებული ფუნქციების შესრულება;
 2. სამუშაო გარემო;
 3. კარიერული განვითარება;
 4. აღიარება და მოტივაცია;
 5. ფიზიკური და ფსიქოემოციური ჯანმრთელობა;
- ამ პროცესში ჩართულია როგორც უშუალო შემფასებელი, ისე დაწესებულების ხელმძღვანელი და შესაფასებელი პირი, შეფასება ეფუძნება სრულყოფილ და მრავალმხრივ ანალიზს, რომელიც მოიცავს თანამშრომლის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს და სხვადასხვა პირის მონაწილეობას.
- შეფასების პროცესს თან ერთვის საჭიროებათა მოკვლევა, რომლის მიზანია პერსონალის პროფესიული წინსვლისთვის ხელშემწყობი მიმართულებების იდენტიფიცირება.



შეფასებისა და საჭიროებების მოკვლევის ეტაპები სრულად შეესაბამება სტანდარტს და მოიცავს:

1. დაგეგმვა (შეფასების და მოკვლევის წინა ეტაპი);
2. უშუალო შეფასება/მოკვლევა;
3. ანალიზი და დასკვნების გაკეთება.

პროცესის გამოყენების პრაქტიკული მტკიცებულება დადასტურდა ადგილზე ვიზიტისას, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული მიდგომა არ არის მხოლოდ ფორმალური, არამედ რეალურად ხორციელდება პრაქტიკაში.

მოცემული წესის თანახმად, გაერთიანება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს როგორც ძლიერი მხარეების, ისე გაუმჯობესების საჭიროების იდენტიფიცირებას.

~

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. (ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №32 11425118001 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში მუხლი 20. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება არეგულირებს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. დაწესებულება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:

- ა) ტრენინგი;
- ბ) პროექტები;
- გ) დელეგირება;
- დ) თვითგანვითარება;

დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული წესი მიღებულია 2025 წლის 28 აპრილს ამ ეტაპზე პროცესის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები შექმნილი არ არის, ხოლო სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2025 წლის №32 11425134001 ბრძანებით, დაგეგმილია პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრენინგ-კურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ უკვე შეიძინა შესაბამისი სერვისი, ტრენინგ-კურსი ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....



3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის Nბ32 11425118001 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის წეს, განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც მოიცავს:

- ა) ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფას;
- ბ) შესაბამისი სამუშაო ჯგუფებისა და სამუშაო გარემოს ორგანიზებას;
- გ) სხვადასხვა ორგანიზაციასთან კომუნიკაციის უზრუნველყოფას.

აღგილზე ვიზიტისა და ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს პერსონალის მართვის დადგენილი წესებისა და მექანიზმების შესაბამისად და მიზანმიმართულად ცდილობს უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
.....

რეკომენდაცია

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 8 დაწესებულების სტრუქტურული ორგანოგრამა 21.05.2025წ ბრძანება Nბ32.114251412
2. დანართი N9 დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 28.04.2025წ ბრძანება Nბ32.11425118001
3. დანართი N10 დამტკიცებული შინაგანაწესი 13.05.2025 ბრძანება Nბ32.114251332
4. დანართი N49 დამტკიცებული თანამდებობების სამუშაო აღწერილობა 13.05.2025 ბრძანება Nბ32.11425133001
5. ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუ

შეფასება:

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მადიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილი N ბ32 114251185 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების იდენტიფიცირებულ მართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ აღმწერებს, რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების მექანიზმსა და სამოქმედო გეგმას, შეფასების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პროცესების მართვას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რაც დასტურდება ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის N ბ32 114251185 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერებითა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს როგორც პროცესების დეტალურ აღმწერებს, ასევე რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფორმას.

დოკუმენტის თანახმად, გაერთიანებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. რისკების იდენტიფიცირება ხორციელდება ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის მიღებასაც.

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტი დამტკიცებულია 2025 წლის 28 აპრილს, ამ ეტაპზე გაერთიანებას ჯერ არ გააჩნია კონკრეტული მტკიცებულებები აღნიშნული წესის პრაქტიკაში განხორციელების შესახებ. თუმცა, ადგილზე ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი გამოიჩინა პროცესის სიღრმისეული ცოდნითა და მზაობით, უზრუნველყოს შესაბამისი მოქმედებები დადგენილი წესის შესაბამისად.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში ბავშვის ჰარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის Nბ32 114251186 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია საბავშვო ბაღებში ბავშვების ჰარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს ჰარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ჰარიცხვა -ამორიცხვის პროცესის განხორციელების ფორმას, ჰარიცხვა ამორიცხვის პერიოდულობას/ვადებს, დაწესებულებაში ბავშვების ჰარიცხვის ეტაპებს და მათი განხორციელების წესს, ჯგუფის დაკომპლექტებას, რეგისტრაციის შეჩერებას, ჯგუფის შემქნას და სხვა. გაერთიანება ბავშვების ჰარიცხვა-ამორიცხვის პროცესს ახორციელებს მატერიალური ფორმით, ნაბეჭდი ფორმების/განცხადებების გამოყენების გზით. შევსებული განაცხადების მიღება ხდება ადგილზე დაწესებულებაში ფიზიკურად მისვლით, ხოლო ჰარიცხვა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჭირო დოკუმენტების დაწესებულებაში მატერიალური ფორმით წარმოდგენით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №32 114251186 ბრძანები საფუძველზე დამტკიცებულია საბავშვო ბაღებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. რომელიც ასევე არეგულირებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესს.

ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის დაწესებულებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება გაერთიანების დირექტორის სახელზე;
- ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- გ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
- დ) ბავშვის ფოტოსურათი;
- ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ვ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ზ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი
- თ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
- ი) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);
- კ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- პ) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ



სტატუსის მაძიებელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლი №32.11425118001 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოიცავს ასევე პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესსაც. წესის თანახმად, პირადი საქმე მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

- ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- ბ) რეზიუმე;
- გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
- დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაწესებულებას არ აქვს პერსონალთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებები და შრომითი ურთიერთობები რეგულირდება ბრძანებით. პირად საქმეებში არ ინახება შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა საჭირო დოკუმენტის თავმოყრა პერსონალის პირად საქმეში, მათ შორის — შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილიც.

რჩევა

დაწესებულებამ პერსონალთან შრომითი ურთიერთობები დაარეგულიროს ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე, სადაც მკაფიოდ იქნება ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო დროის ფარგლებში განსაზღვრული პასუხისმგებლობები, შრომის ანაზღაურება, შვებულების ხანგრძლივობა და სხვა.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დანესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას და უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით. გეგმა მოიცავს ექვს თვიან პერიოდში განხორციელებად კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ინდიკატორის მიხედვით გამოვლენილი ხარვეზების ეტაპობრივად არმოფხვრისკენ. წარმოდგენილი გეგმა იძლევა საფუძველს, რომ შეუსაბამობა სრულად იქნება აღმოფხვრილი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N66 4. 2. პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის წესი 28.04.2025წ ბრძანება Nბ32.114251185
2. დანართი N11 4. 2 საბავშვო ბაღებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის წესი 28.04.2025წ ბრძანება Nბ32.114251186
3. დანართი N51 4.2 პერსონალის პირადი საქმეები
4. დანართი N50 4.2 ბავშვის პირადი საქმეები
5. დანართი N67 4.2 ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა ბრძანება Nბ32.11425143001 23.05 2025წ.
6. ადგილზე ვიზიტი / ინტერვიუ.

შეფასება:

4.2 პროცესების მართვა

შეესაბამება.ა ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--	--	---	---



4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები



აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც შემუშავებული უნდა ქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების წესი და პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული აღნიშნული წესი, მაგრამ ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პირველადი დახმარების აღმოჩენასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია საბავშვო ბაღში დასაქმებული მედდა. საბავშვო ბაღში არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც მოწყობილია კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ მედდას, მენეჯერს და შვიდივე ამღვრდელ-პედაგოგს გააჩნდათ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების თემაზე გავლილი ტრენინგის დამადასტურებელი სერტიფიკატები -დანართი N5.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რისთვისაც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 6 თვეზე, ასევე დანართი N 18 სახით მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ქობულეთი მუნიციპალიტეტის მერის წერილი შშს.სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე (წერილის N 114-



11425139172. 19.05.2025წ). აღნიშნული გეგმა რელევანტურია შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, **ამრიგად ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დანესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად აქტივობათა განხორციელება, არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

2. დანესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დანესებულების ტერიტორიაზე- ეზოში არის მწვანე საფარი, რომელიც არ არის ასახული ინვენტარიზაციის დოკუმენტში და არ აქვთ მცენარეების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.



რეკომენდაცია

დანესებულებამ უზრუნველყოს ებოში არსებულ მცენარეების ინვენტარიზაცია და ინფორმაციის მოძიება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დანესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას და უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით. გეგმა მოიცავს ორ თვიან პერიოდში განხორციელებად კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ინდიკატორის მიხედვით გამოვლენილი ხარვეზების ეტაპობრივად არმოფხვრისკენ. წარმოდგენილი გეგმა იძლევა საფუძველს, რომ შეუსაბამობა სრულად იქნება აღმოფხვრილი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

3. კურიკულუმის ფარგლებში დანესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა (დანართი N58 მშობლის წერილობითი ნებართვა), ბავშვის დანესებულების ტერიტორიიდან გაყვანის, ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყნების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბავშვის პირადი საქმის ნაწილს.



აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 31 თებერვლის №32.114250315 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სგანმანათლებლო პროცესის დღის განრიგი. ადგილზე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღმზრდელები ზრუნავენ დღის განრიგი ბავშვისთვის იყის პროგნოზირებადი, დაწესებულებაში არის ვიზუალური დღის განრიგი (დანართი N 59), რომელიც განთავსებულია ჯგუფის სივრცეში და ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს საქმიანობის პროცესის წარმართვისას ბავშვის უფლებებს, რისთვისაც შემუშავებული აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი (დანართი N18 ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის ბრძანება Nბ32.11425118228 28.04.2025წ) და ბრძანებით ყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული.

დაწესებულებაში ვიზიტისა და ინტერვიუს დროს თვალსაჩინოდ გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად ფლობს ინფორმაციას ბავშვის უფლებების შესახებ და აქტიურად ხელმძღვანელობს ამ პრინციპებით ყოველდღიურ საქმიანობაში. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025–2030 წლების სტრატეგიულ გეგმაში სტრატეგიულ მიზნად დასახულია „ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ძალადობისგან დაცვის უზრუნველყოფა“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვთა უფლებები წარმოადგენს დაწესებულების ღირებულებით პრიორიტეტს. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ ბავშვთა ღირსებისა და კეთილდღეობის დაცვის მნიშვნელობა და გამოხატავენ მზაობას, რომ საქმიანობა წარმართონ უსაფრთხო, პატივისცემაზე და თანასწორობაზე დაფუძნებულ გარემოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას 2025 წლის 28 აპრილის Nბ32 11425118228 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი და ბრძანების საფუძველზე (ბრძანება N 01-02/14. 2017 წლის 20 იანვარი), დანართი N 61 მტკიცებულების საფუძველზე ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი-ჩაისუბნის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი.

მარეგულირებელი წესის საფუძველზე განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში მოქმედებისთვის. რეფერირებაზე პასუხისმგებელს პირს, საქართველოს მთავრობის N 437 დადგენილების საფუძველზე, უნდა ჰქონდეს შესაბამისი სწავლება/გადამზადება გავლილი, რაც უნდა დასტურდებოდეს გაცემული ცნობით, სერტიფიკატი ან სხვა დოკუმენტით, პასუხისმგებელ პირს ეს დოკუმენტი არ გააჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.



რეკომენდაცია:

დანესებულებამ უზრუნველყოს, რომ ბავშვზე ზრუნვის პროცესში რეფერირების საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა გაიაროს სპეციალური გადამზადება/ტრენინგი, რათა შეძლოს:

სწორად ამოიცნოს რისკები და იმოქმედოს შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით.

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დანესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრას და უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით. გეგმა მოიცავს თორმეტ თვიან პერიოდში განხორციელებად კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ინდიკატორის მიხედვით გამოვლენილი ხარვეზების ეტაპობრივად არმოფხვრისკენ. წარმოდგენილი გეგმა იძლევა საფუძველს, რომ შეუსაბამობა სრულად იქნება აღმოფხვრილი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტნილი შეფასებით.

.....

.....

.....

4. დანესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დანესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციას.

დანესებულებაში იციან, რომ ბავშვისთვის ახალი გარემოსთან ადაპტაცია და ჯგუფების ცვლილება შეიძლება იყოს სტრესული პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა შეიმუშაოს ისეთი პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს როგორც ბავშვში პირველადი ადაპტაციის, ასევე ჯგუფში გა (შიდა) ტრანზიციის პროცესს.

ინტერვიუსა დროს გამოიკვეთა, რომ ადაპტაცია/ტრანზიციის პროცესში გადადგმული ნაბიჯები მოიცავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას (ინფორმაციის გაცვლას ბავშვის ქცევებზე, ინტერესებზე), ბავშვის საჭიროებების ინდივიდუალურ გათვალისწინებას წინასწარ მომზადებული გარემო და სხვა.

დანესებულება ასევე იყენებს ტრანზიციებს დღის განმავლობაში აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისას, რაც ეხმარება ბავშვებს პროცესების პროგნოზირებადობაში და დამშვიდებაში.

კონკრეტულად, დასაფიქსირებელი იყო მუსიკალური ხმების, ჩიტის ჭიკჭიკის, ქვიშის საათის გამოყენება, რაც ქმნიდა მოლოდინის განცდას და ბავშვისთვის ცვლილებების უფრო რბილად მიღების შესაძლებლობას.

დანესებულებაში აღნიშნული პრაქტიკა აჩვენებს, რომ გათვალისწინებულია ბავშვთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები და ინდივიდუალური საჭიროებები, რაც ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესს უჭერს მხარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას. დაწესებულებას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვა, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენით (დანართი N 58 მშობლის წერილობითი ნებართვა).

ვიზიტისა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას. პერსონალი აცნობიერებს პირადი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობას და იყენებს შესაბამის პრაქტიკებს — არ ხდება ინფორმაციის საჯაროდ გაზიარება ან გაცხადება მესამე პირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N5 პირველადი გადაუდებელი დახმარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
2. დანართი N58 მშობლების წერილობითი ნებართვა
3. დანართი N59 ვიზუალური დღის განრიგი
4. დანართი N 62 უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა ბრძანება N 01-12/49 28.12.2017წ.
5. დანართი N17 ქობულეთის მერიის წერილი შპს.სსდ- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს .წერილი N 114-11425139172 19/05/2025წ.
6. დანართი N18 დამტკიცებული განვლილი პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის ბრძანება Nბ32.11425118228 04.2025. წ.
7. დანართი N61 რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება Nბ32.114232583 15.09.2023წ.
8. ადგილზე ვიზიტი/ ინტერვიუ, ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს N68 დანართის სახით (01.05.2025წლის Nბ32 114251216 ბრძანება) წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტს საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტი, რომელიც შესაბამისობაშია 2025 წლის 14 მაისის Nბ3211425134001 ბრძანებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებთან.

ინტერვიუს დროს, ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან, აღინიშნა, რომ დაწესებულება წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაკორექტირებას და გარკვეულ მუხლებში ფინანსური რესურსების ზრდას, რაც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ჯეროვნად შესრულებას შეუწყობს ხელს.



აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

